ავტოდაზღვევის ბაზრის ტენდენციები და გამოწვევები - აუთვისებელი ბაზარი საქართველოს სადაზღვევო ბიზნესში

ანა დოლიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფიო ლებანიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021 წელი

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა დოლიაშვილი

_____

12.06.2021“

აბსტრაქტი

ნაშრომის სათაურს წარმოადგენს ავტოდაზღვევის ბაზრის ტენდენციები და გამოწვევები - აუთვისებელი ბაზარი საქართველოს სადაზღვევო ბიზნესში. თემა თანამედროვეობისთვის აქტუალური საკითხია. საქართველოს სადაზღვევო ბაზარი გამოწვევების წინაშეა, რადგან საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების უდიდესი ნაწილი არ არის დაზღვეული. აღნიშნულ საკითხზე არაერთი ფაქტორი ახდენდეს გავლენას, შესაბამისად მნიშვნელოვანია გამომწვევი ფაქტორების შესწავლა, კვლევის ჩატარება და მოკვლეულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ძირითადი საკვანძო საკითხების გამოვლენა. კვლევის ფარგლებში მიმოვიხილავთ დაზღვევის ჩამოყალიბების საწყისებს, მის განვითარებას ადრეულ პერიოდში, შემდეგ შევეხებით შუა საუკუნეების დაზღვევის პრინციპებს. ძირითადი აქცენტი გაკეთდება საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე. ნაშრომში ყურადღება გამახვილდება მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის (შემდგომში სავალდებულო Mtpl) დანერგვის საჭიროებაზე, რომელიც გაანალიზებული იქნება სხვა ქვეყნების გამოცდილებით. კვლევის ძირითადი მიზანია სწორად შეფასდეს და გაანალიზდეს საქართველოში ავტო დაზღვევის განვითარების საკითხები და გამოწვევები. საკვლევი კითხვებიდან და ჰიპოთეზიდან გამომდინარე აქტუალურ საკითხებზე მიგნებები და რეკომენდაციები დაეფუძნება განხორციელებულ კვლევას.

საკვანძო სიტყვები: დაზღვევა, ავტოდაზღვევა, სავალდებულო Mtpl

Abstract

The title of the article is the tendencies and challenges of the auto insurance market - an untapped market in the Georgian insurance business. The topic is relevant to our time. The Georgian insurance market is facing challenges because most of the cars registered in Georgia are not insured. This problem is influenced by many factors, so it is important to study the causal factors, conduct research and identify key problems based on the information received. In the framework of the research we will review the origins of the formation of insurance, its development in the early period, then we will review the principles of medieval insurance. The main focus will be on the Georgian insurance market. The article will focus on the need for the introduction of compulsory third-party liability insurance (hereinafter mandatory Mtpl), which will be analyzed on the experience of other countries. The main purpose of the research is to properly assess and analyze the issues and challenges of auto insurance development in Georgia. Conclusions and recommendations on current issues based on research questions and hypotheses will be based on the research conducted.

Keywords: Insurance, Auto Insurance, Mandatory Mtpl

მადლობა

მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ სოფიო ლებანიძეს, გაწეული შრომისა და ნაშრომის სრულყოფაში შეტანილი წვლილისთვის.

მადლობას ვუხდი ნაშრომის რაოდენობრივ და თვისებრივ კვლევაში მონაწილე პირებს.